ოქმი:**ო37.37210741**
თარიღი:**15/03/2021**

ოქმი #6

+

ბიუროს მორიგი სხდომის

2021წელი, 12 მარტი

ქ. ოზურგეთი

14^{00} – 15^{00} საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია, საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: გ.ღურჯუმელიძე, ბ. დოლიძე, ლ. ბიგვავა, გ. ჩაგანავა, ლ. მგელაძე, გ. თოიძე, ე. გორდელაძე, ლ.საჯაია, ტ.არუშიძე, დ.ჭაკნელიძე.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია, 15 წევრიდან სხდომას ესწრება 11, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად დაამტკიცეს.

დღის წესრიგი

1. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვისა და და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი : დავით დარჩია

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

საკითხზე ბიუროს წევრებმა გადაწყვიტეს-შემუშავებული გრაფიკის შესაბამისად, განიხილონ საკრებულოს მუდმივმოქმედმა კომისიებმა და ფრაქციებმა, წარმოადგინონ დასკვნები, ხოლო საკრებულოს სდომაზე მისი განხილვა მოხდეს მიმდინარე წლის 28 აპრილს.

2.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი : დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლაშა თავაძე

3.,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების 2019-2022 წლების სტრატეგიით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მიზნით შექმნილი

დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ვადა გაგრძელდება ერთი თვით.

4. არანაკლებ 0.5%-ის მიერ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის გათვალისწინებით ,,ქალაქ ოზურგეთის გენერალური გეგმის მომზადების პროცესში“ - მოქალაქეთა ინფორმირებისა და ჩართულობის მიზნით შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ვადა გაგრძელდება ერთი თვით.

5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მიერ 2020 წელში გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ნანა თავდუმაძე

ანგარიშის მოსმენა გადაიდო და იგი შეიტანება პირველ საკითხად მიმდინარე წლის 17-მარტის ბიუროს სხდომის დღის წესრიგში.

გადაწყვიტეს:

1. ბიუროს სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინებული N,2,3,4- საკითხები შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განხილვა-დამტკიცების, მათ შორის N2 საკითხი საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

2. ბიუროს სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინებული N1 საკითხი გრაფიკის მიხედვით განსახილველად და დასკვნების წარმოსადგენად დაეწეროს საკრებულოს დარგობრივ კომისიებს და ფრაქციებს, ხოლო საკრებულოს სდომაზე მისი განხილვა მოხდეს მიმდინარე წლის 28 აპრილს.

3. N5 საკითხი გადაიდოს, შეიტანილ იქნას პირველ საკითხად მიმდინარე წლის 17-მარტის ბიუროს სხდომის დღის წესრიგში.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი